



Tbilisi State University  
TSU



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“

საზაფხულო სკოლისადმი მოქმედი წესები

## **§1. საზაფხულო სკოლის მიზნები**

1. საზაფხულო სკოლა განკუთვნილია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და წარმოადგენს სავალდებულო ნაწილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე. საზაფხულო სკოლის კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტი მოიპოვებს 4 კრედიტს.
2. საზაფხულო სკოლის - „საჯარო მმართველობა მრავალსაფეხურიან სისტემაში“ მიზანია, მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის სხვადასხვა სახისა და კომპეტენციების შესახებ სხვადასხვა საფეხურურზე (მუნიციპალურ, რეგიონულ, ფედერალურ & ევროკავშირის). ყურადღება გამახვილდება გერმანიის ფედერალური მიწის ორგანიზაციაზე, როგორც პრაქტიკულ მაგალითზე.
3. საზაფხულო სკოლის განმავლობაში ჩატარდება სემინარი, სადაც განიხილება, სამაგისტრო ნაშრომის როგორც შინაარსთან დაკავშირებული ინდივიდუალური საკითხები, ასევე მეთოდოლოგია. გარდა ამისა, სტუდენტები დაესწრებიან პრეზენტაციას, რომელიც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს.
4. საზაფხულო სკოლის განმავლობაში ასევე მოხდება საზღვარგარეთ გავლილ პრაქტიკასთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა და მისი პრეზენტაცია.

## **§2. ხანგრძლივობა**

საზაფხულო სკოლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 კალენდარულ კვირას.

## **§3. საზაფხულო სკოლის ადგილმდებარეობა**

საზაფხულო სკოლა ტარდება შპაიერის უნივერსიტეტში. მომავალში, თუ ეს მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, შესაძლებელია, საზაფხულო სკოლის ადგილმდებარეობა შეიცვალოს.

## **§4. შეფასება**

სტუდენტის შეფასება დაეფუძნება შემდეგ პრინციპს:

დასწრება - 30 %

ზეპირი აქტიურობა - 30 %

პრეზენტაცია - 40 %

### **§5. გარდამავალი დებულებები**

აღნიშნული დებულებები შეიმუშავა პროგრამის აკადემიურმა საბჭომ. საბჭოს გადაწყვეტილებები წარედგინება თავდაპირველად იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად/გასაუქმებლად/შესაცვლელად, ხოლო შემდგომ საჭიროებისამებრ თსუ-ს აკადემიურ საბჭოს და ძალაში შედის დამტკიცების მომენტიდან.

იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული